

დამტკიცებულია შპს კეონი აკადემიის დირექტორის

25.02.2021 წლის N 1-10 ბრძანებით

ცვლილება შესულია კეონი აკადემიის დირექტორის

23.09.2021 წლის N1-36 ბრძანებით

შპს კეონი აკადემია

პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 აღნიშნული წესი არეგულირებს შპს კეონი აკადემიაში (შემდგომში აკადემია) პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის, დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისების/ინიციატივების და კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების მოქმედებას.

მუხლი 2. პროფესიულ სტუდენტთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის მექანიზმები

2.1 პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

2.1.1 მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება;

2.1.2 საქართველოს კანონმდებლობითა და აკადემიის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესებით ისარგებლოს აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით;

2.1.3 საჭიროებიდან გამომდინარე სასწავლო პროცესის მენეჯერის, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული განათლების მასწავლებლისგან მიიღოს სათანადო კონსულტაცია და მხარდაჭერა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

2.1.4. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში, აგრეთვე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის შემთხვევაში დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით;

2.1.5 საკუთარი ინტერესების შესაბამისად დააფუძნოს პროფესიული და სხვა სტუდენტური ორგანიზაციები ან/და გაერთიანდეს მასში;

2.3. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიმართ დისციპლინური წარმოება დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი უნდა იყოს. იგი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მარეგულირებელი წესებით განსაზღვრულ შემთხვევებში;

2.4. პროფესიული სტუდენტების კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად თითოეული ახალი ჯგუფის მიღებისას სასწავლო პროცესის მენეჯერი აწყობს საინფორმაციო შეხვედრას პროფესიულ სტუდენტებთან, აცნობს მათ აკადემიის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებს; ფორმალური

განათლების აღიარებს პირობებს; პროფესიულ სტუდენტთა უფლება-მოვალეობებს , შინაგანაწესს , და ა.შ;

2.5 პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მხრიდან წამოსული მომართვის შემთხვევაში, გათვალისწინებულია დამატებითი კონსულტაციების ჩატარება. კონსულტაციის ვადებს და ფორმებს ადგენს სასწავლო პროცესის მენეჯერი პროფესიული განათლების მასწავლებელთან/პროგრამის ხელმძღვანელთან/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან და პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით; კონსულტაციები შესაძლოა განხორციელდეს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით;

2.6 პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციაზე სასწავლო გარემოში პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი. სწავლის დაწყების პირველსავე დღეს სასწავლო პროცესის მენეჯერი პროფესიულ სტუდენტებს წარუდგენს აკადემიის პერსონალს და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერთან/ პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს აცნობს აკადემიის სერვისებს და ინფრასტრუქტურას;

2.7 პროფესიულ სტუდენტთა /მსმენელთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა გონივრულ ვადებში ხორციელდება. ეს იქნება ცნობის, სერტიფიკატის თუ დიპლომის გაცემა, შიდა თუ გარე მობილობის ხელშეწყობა, წინარე განათლების აღიარება და სხვა. სერვისების გაწევის მაქსიმალური ვადები არ აღემატება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებს; პროფესიული სტუდენტებისათვის ადმინისტრაციული მხარდაჭერის გაწევაზე პასუხისმგებელი პირია საქმის წარმოების სპეციალისტი.

მუხლი 3. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა მატერიალური -ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა

3.1 აკადემია ახორციელებს პროფესიული სტუდენტების/მსმენელების უზრუნველყოფას სხვადასხვა მატერიალურ-ტექნიკური სერვისებით, რაც გულისხმობს:

3.1.1 უსაფრთხო და დაცულ საგანმანათლებლო სივრცეს;

3.1.2 პროფესიულ სტუდენტთათვის დასასველებელი და სამუშაო სივრცის არსებობას;

3.1.3 24-საათიან განათებას;

3.1.4 შენობის ნორმალური ტემპერატურით უზრუნველყოფას სეზონების მიხედვით;

3.1.5 საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით აღჭურვილ აუდიტორიებს, უზრუნველყოფილს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;

3.1.6 კომფორტულ თანამედროვე ბიბლიოთეკას, უზრუნველყოფილს ბეჭდური და ელექტრონული რესურსებით, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით;

3.1.7 გარკვეული ხარისხით ადაპტირებულ გარემოს შშმ პირთათვის;

3.1.8 პირველად სამედიცინო მომსახურებას;

3.1.9 მთელ საგანმანათლებლო სივრცეში სისუფთავის დაცვას;

3.1.10 მოწესრიგებულ/ადაპტირებულ სველ წერტილებს, წყლის უწყვეტი მიწოდებით;

მუხლი 4. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ფინანსური მხარდაჭერა

4.1 აკადემიაში მოქმედებს სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სისტემა;

4.2 აკადემია ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა განაცხადებს სწავლის საფასურის გადახდის გადავადების ან ნაწილ-ნაწილ გადახდის თაობაზე;

მუხლი 5. დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებისა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი

5.1 აკადემია ახორციელებს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების/მსმენელების ინიციატივების მხარდაჭერას. ამ მიზნით აკადემია ყოველმხრივ ახალისებს და ხელს უწყობს საგანმანათლებლო, შემოქმედებითი, სპორტული, საქველმოქმედო, საექსკურსიო-შემეცნებითი და საზოგადოებრივად სასარგებლო სტუდენტური ინიციატივების განხორციელებას, რომელიც შეესაბამება აკადემიის მიზნებსა და საქმიანობის სფეროს;

5.2 ინიციატივების განხორციელებისთვის საინიციატივო ჯგუფი/ინიციატორი განცხადებით მიმართავს აკადემიის ადმინისტრაციას. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს დანართი განსახორციელებელი ინიციატივის შესახებ, სადაც გაწერილი უნდა იყოს ინიციატივის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი, შესრულების ვადები და საჭირო რესურსები;

5.3 განცხადების მიღებიდან ერთი კვირის ვადაში აკადემიის ადმინისტრაცია განიხილავს შემოსულ წინადადებებს და აცნობებს ინიციატორს მიღებულ გადაწყვეტილებას;

5.4 თანხმობის შემთხვევაში, განისაზღვრება ფინანსური და/ან მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ფორმა, სახე და ზომა. დაფინანსებული ღონისძიების განხორციელების შემდეგ, აკადემიის დირექტორს წარედგინება შესაბამისი დოკუმენტაცია;

5.5 ინიციატივის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, ინიციატორს ეცნობება არგუმენტირებული უარი;

5.6 განსახორციელებელი ღონისძიებები დაანონსდება აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში;

მუხლი 6. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა კარიერული მხარდაჭერის მექანიზმები

6.1 კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულთათვის;

6.2 პოტენციური სტუდენტებისთვის პროფორიენტაციის ფარგლებში ტარდება სხვადასხვა ტიპის შეხვედრები, სადაც პოტენციურ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ აკადემიაში მოქმედ საგანამანათლებლო პროგრამებს, დასაქმების შესაძლებლობებს, მიიღონ ინფორმაცია პოტენციური დამსაქმებლების შესახებ;

6.3 პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით აკადემიაში შექმნილია დამსაქმებელთა და კურსდამთავრებულთა ბაზები. დამსაქმებელთა ბაზების შექმნაზე პასუხისმგებელია პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა ბაზების შექმნაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მენეჯერი;

6.4 დამსაქმებელთა ბაზების განახლება ხდება წელიწადში ერთხელ, აღნიშნული ბაზების განახლებაზე პასუხისმგებელია პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერი.

6.5 პოტენციური დამსაქმებლების პირადი ინიციატივით მომართვის შემთხვევაში პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერი კურსდამთავრებულს ელექტრონული ფოსტის ან/და facebook –ის დახურული ჯგუფის საშუალებით აცნობს შემოთავაზებულ წინადადებას და მისი თანხმობის შემდეგ აკავშირებს დამსაქმებელთან;

6.6. აკადემია მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას აკადემიის ვებ-გვერდის ან/და სოციალური ქსელის საშუალებით დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, ასევე ინფორმაციას ტრენინგების, ასევე სხვა ღონისძიებების შესახებ (მაგალითად გამოფენები, პრეზენტაციები, ვიდეორგოლების გავრცელება და სხვა).

6.7 აკადემია ეხმარება კურსდამთავრებულებს და პროფესიულ სტუდენტებს რეზიუმეს შექმნაში, სამოტივაციო წერილის დაწერაში და ა.შ.;

6.8 ყოველი საგანამანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 9 თვეში ხორციელდება კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა;

მუხლი 7 პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა უკუკავშირის მექანიზმი

7.1 აკადემია პროფესიული სტუდენტებთან ეფექტური თანამშრომლობისთვის წელიწადში ორჯერ ახორციელებს პროფესიულ სტუდენტთა კვლევას ისეთ საკითხებთან მიმართებაში როგორცაა სასწავლო პროცესი, აკადემიის ინფრასტრუქტურა, საგანამანათლებლო პროგრამები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, სტუდენტური სერვისები, ადმინისტრაციული პერსონალის და სხვა.

7.2 პროფესიულ სტუდენტის/მსმენელის მომართვის შემთხვევაში აკადემიის ადმინისტრაცია იწყებს დაუყოვნებლივ რეაგირებას მომართვაში დაფიქსირებული პრობლემის მიზეზების გამოსაკვლევად და გადასაჭრელად;

მუხლი 8. წესის დამტკიცება და ცვლილებების შეტანა

8.1. აღნიშნულ წესს ამტკიცებს აკადემიის დირექტორი ბრძანებით, ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია ბრძანების გამოცემის გზით.